მოკლე მიმოხილვა

UN JOINT PROGRAMME FOR GENDER EQUALITY

პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში

© 2022 UN Women. All rights reserved.

წინამდებარე ანგარიში მომზადდა გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისათვის საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით. კვლევა ჩაატარა CRRC-საქართველომ გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მეთოდოლოგიით. ანგარიშის შინაარსი წარმოადგენს CRRC-საქართველოს პასუხისმგებლობას და შესაძლოა, არ ასახავდეს შვედეთისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ხედვას.

კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

საქართველოში პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა CRRC-საქართველომ გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით განახორციელა. კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოში პოლიტიკაში ჩართული ქალების გამოცდილებების შესწავლას. კერძოდ, შესწავლილ იქნა ქალებისთვის პოლიტიკაში ჩართულობის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები, ძალადობის და დახმარების ძიების გამოცდილებები, და ასევე, ძალადობის გავლენა ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობასა და ლიდერობაზე.

პოლიტიკაში ჩართული ქალების გამოცდილებების უკეთ შესასწავლად და ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობის კუთხით არსებული ვითარების შესაფასებლად, გამოყენებულ იქნა კვლევის როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები. ჯამში, 2020-2021 წლებში, თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 10 ინტერვიუ ექსპერტებთან და 15 ინტერვიუ პოლიტიკაში ჩართულ ძალადობის მსხვერპლ ქალებთან. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში კი გამოიკითხა 151 პოლიტიკაში ჩართული ქალი. აქედან, 104 ქალი საკრებულოს ან 2017-2021 წლების ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი იყო; 9 საქართველოს პარლამენტის წევრი იყო 2016 წლიდან 2020 წლამდე; 50 კი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში იყრიდა კენჭს. მოცემული პუბლიკაციაში წარმოდგენილია კვლევის ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.

პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობა

გამოკითხულ ქალ პოლიტიკოსთა ნახევარზე მეტს (54%) განუცდია ამა თუ იმ ტიპის ძალადობა პოზიციაზე ყოფნის პერიოდში ან საარჩევნო კამპანიის განმავლობაში.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიდან, ნახევარზე ნაკლებმა (48%) აღნიშნა, რომ განიცდიდნენ შევიწროებას და ძალადობის ამა თუ იმ ფორმას თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში, მაშინ, როდესაც ეს წილი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატ ქალებში ორ მესამედამდე იზრდება, ხოლო, თითქმის ყველა გამოკითხული დეპუტატი (ორის გარდა) ამბობს, რომ ძალადობის ან შევიწროების რომელიმე ფორმა გამოუცდიათ. პოლიტიკაში მყოფ ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები ფსიქოლოგიური ძალადობა და სოციალურ ქსელებში ძალადობაა (სურათი N1).

სურათი N1:
პოლიტიკაში მყოფ ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები[1]



შენიშვნა: ეკონომიკური ძალადობა გულისხმობს უარის მიღებას ფულად და სხვა კუთვნილ რესურსებზე ან ქონების განზრახ დაზიანებას

პოლიტიკაში ჩართულ ქალთა შორის, ძალადობის სამიზნეები, ყველაზე ხშირად დაუქორწინებელი ან განქორწინებული ქალები ხდებიან.

გამოკითხულთა თითქმის ერთი მესამედი მიიჩნევს, რომ მუქარა, დაშინება, შევიწროება და სიძულვილის ენა განსაკუთრებით ქალი პოლიტიკოსებისადმი არის მიმართული. გამოკითხულ ქალთა ნახევარზე მეტს (56%) პირადად გამოუცდია დისკრიმინაცია სამუშაო ადგილზე (სურათი N2).

სურათი N2:
პოლიტიკური კარიერის განმავლობაში დისკრიმინაციის გამოცდილება



ძალადობის ზეგავლენა პოლიტიკაში ჩართულ ქალებზე და დახმარების ძიების გზები

ძალადობის გამოცდილების შედეგად, პოლიტიკაში ჩართული ქალები ხშირად იღებენ გარკვეულ ზომებს თავის დასაცავად (სურათი N3).

სურათი N3:
პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიერ ძალადობისაგან თავის დასაცავად მიღებული ზომები

როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევა აჩვენებს, რომ როდესაც ქალები ძალადობის შესახებ ხმას იმაღლებენ, ეს სხვა ქალ პოლიტიკოსებსაც აძლიერებს.

ძალადობის გამოცდილება უარყოფითად მოქმედებს პოლიტიკაში ჩართული ქალების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. გამოკითხულთა 37% ამბობს, რომ ძალადობის გამოცდილების შედეგად მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა გაუარესდა. გამოკითხულ ქალ პოლიტიკოსთა უმრავლესობა (60%) ეთანხმება ან სრულად ეთანხმება დებულებას, რომ კანდიდატების მხრიდან საზოგადოდ საუბარი მათ მიერ გამოცდილ შევიწროებასა და დაშინებაზე პოლიტიკაში ჩართულ სხვა ქალებს ეხმარება, რომ ამ თემებზე საუბარი დაიწყონ.

იმ რესპონდენტთა ნახევარზე მეტს (52%-ს), რომლებსაც ძალადობა რაიმე ფორმით გამოუცდიათ, მომხდარის შესახებ არ შეუტყობინებია ოფიციალური ორგანოებისთვის.

ძალადობის შემთხვევაში პოლიტიკაში ჩართული ქალები ამ გამოცდილების შესახებ ყველაზე ხშირად ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან საუბრობენ (სურათი N4).

სურათი N4:
ვისთან საუბრობენ პოლიტიკაში მყოფი ქალები განცდილი ძალადობის შესახებ?



მათ, ვინც ძალადობის შემთხვევაზე შეტყობინება გააკეთეს, ამისთვის სხვადასხვა უწყებებს მიმართეს (სურათი N5). ისინი, ვისაც მომხდარის შემდეგ ოფიციალური შეტყობინება არ გაუკეთებია, უმოქმედობას ძირითადად იმით ხსნიან, რომ მათი აზრით, მათი შემთხვევა საჭიროებდა პოლიტიკურ პასუხს და არა სამართლებრივ ნაბიჯებს (43%); ან აღნიშნავენ, რომ თავად შეძლეს პრობლემის მოგვარება (36%), ხოლო 21%-მა მომხდარი უმნიშვნელოდ და არასაკმარისად სერიოზულად მიიჩნია.

სურათი N5:
მათგან ვინც შეტყობინება გააკეთა



თვისებრივი კვლევა აჩვენებს, რომ შეტყობინების დამაბრკოლებელი ფაქტორი შესაბამისი ორგანოების მიმართ უნდობლობა, პარტიის რეპუტაციის შელახვის შიში და იმის შიშია, რომ მათ ნათქვამს სერიოზულად არავინ მიიღებს.

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მექანიზმები

პოლიტიკაში ჩართულ ქალთა შეფასებები ძალადობაზე რეაგირების არსებული კანონმდებლობის, მექანიზმების და სერვისების შესახებ საკმაოდ პოლარიზებულია. რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილი არ ეთანხმება, ვიდრე ეთანხმება მოსაზრებებს, რომ საქართველოში არსებობს პოლიტიკაში ჩართული ქალების წინააღმდეგ ძალადობის შემთხვევების თავიდან აცილების (47%) და სათანადო ორგანოებისთვის შეტყობინების ეფექტიანი მექანიზმები.

თვისებრივი კვლევის რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა წინ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მუშაობის კუთხით. ისინი უფრო მეტ პრობლემას კანონის აღსრულების მექანიზმებში და სერვისებში ხედავენ, ვიდრე თავად კანონმდებლობაში.

პოლიტიკაში ჩართული ქალები მიიჩნევენ რომ პოლიტიკური ნების არსებობა აუცილებელი წინაპირობაა პოლიტიკაში ჩართული ქალების ძალადობის შემთხვევების ეფექტიანი გამოძიებისთვის.

პოლიტიკაში ჩართული ქალების მხარდამჭერი ფაქტორები და ბარიერები

გამოკითხული ქალებისთვის, პოლიტიკაში ჩართულობის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი, ოჯახის მხარდაჭერაა. გამოკითხულთა უმრავლესობის პოლიტიკურ კარიერას ოჯახი სხვადასხვა ფორმით უჭერდა მხარს. მათი უმრავლესობა მხარდაჭერას იღებდა ასევე ადგილობრივი თემის წევრებისგან, საკუთარი პოლიტიკური პარტიის წევრებისგან, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან (სურათი N7).

სურათი N6:
პოლიტიკაში ჩართული ქალებისთვის ოჯახის მიერ გაწეული დამხარების ფორმები



სურათი N7:
პოლიტიკური კარიერის განმავლობაში მიღებული მხარდაჭერა



ქალი კანდიდატებისთვის ყველაზე დიდი ბარიერი შეზღუდული ფინანსური რესურსებია, მაშინ როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი ქალებისთვის ფინანსურ რესურსებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ბარიერი მაღალ თანამდებობაზე დაწინაურების/ნაკლები შანსია (სურათი N8).

მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო და მუნიციპალური არჩევნებისას, პარტიის საქმის უმეტესობას ქალი აქტივისტები ასრულებენ (კარდაკარ სიარული, საინფორმაციო მასალის დარიგება/გავრცელება, საოფისე საქმე, შეხვედრების ორგანიზება) ისინი იშვიათად წინაურდებიან ან ხვდებიან რომელიმე პარტიის საარჩევნო სიის სათავეში.

სურათი N8:
ბარიერები, რომლებსაც საქართველოში პოლიტიკაში ჩართული ქალები აწყდებიან



მეორე მხრივ, ბევრი ქალისთვის, რომელსაც შესაძლოა სურდეს პოლიტიკაში ჩართვა, მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად ოჯახის მხარდაჭერის არ ქონა დასახელდა.

ისეთი ოჯახური პასუხისმგებლობები, როგორიცაა სახლის საქმეებზე, ბავშვებზე, მშობლებსა და პარტნიორებზე ზრუნვა, ქალებს პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობისთვის ნაკლებ დროს უტოვებს - ეს პრობლემა პოლიტიკაში ჩართული ქალებისთვის პანდემიის პირობებში კიდევ უფრო გამწვავდა.

რეკომენდაციები

როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში ფართოდ გავრცელებული ფენომენია, რომელიც მისი გავრცელებულობის და სიმწვავის მიუხედავად, იშვიათად ხდება საჯარო განხილვის საგანი. კვლევა აჩვენებს, რომ პრობლემის აღიარება და სათანადო განხილვა მნიშვნელოვნად აძლიერებს იმ ქალებს, რომლებიც ამ პრობლემის მიუხედავად მასზე საუბარს ვერ ბედავენ. ამიტომ **რეკომენდებულია, რომ პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხს სათანადო ყურადღება მიაქციონ, როგორც ხელისუფლების და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა,**[2] ასევე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და მედიის წარმომადგენლებმა და რეგულარულად განიხილონ ის, როგორც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების და პოლიტიკური პარტიების დონეზე, ასევე საჯარო დებატებში, განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც ძალადობის რისკები კიდევ უფრო მაღალია.

იქიდან გამომდინარე, რომ ძალადობას ადგილი აქვს როგორც სხვადასხვა, ასევე ერთი და იგივე პარტიების წარმომადგენლებს შორის, რეკომენდებულია, **პოლიტიკურმა პარტიებმა**, პოლიტიკაში ჩართულ ქალთა ძალადობისგან დასაცავად **პარტიათაშორისი და შიდაპარტიული** მექანიზმები (მათ შორის, სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების მექანიზმი) **შექმნან**.[3]

კვლევა აჩვენებს, რომ შესაბამისი უწყებების მიმართ უნდობლობა და ეფექტიანი გამოძიების პრეცედენტის ნაკლებობა აბრკოლებს პოლიტიკაში ჩართული ქალების მიერ ძალადობის შესახებ შეტყობინების გაკეთებას. ამიტომ, **ეფექტიანი გამოძიების პრეცედენტები** მნიშვნელოვნად გაზრდის ნდობას არსებული სისტემის მიმართ და ასევე, მიმართვიანობის გაზრდასაც შეუწყობს ხელს.[4]

პოლიტიკაში ჩართული ქალები და სფეროს ექსპერტები კრიტიკულად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მოქმედი **სახელმწიფო ინსტიტუტების** გაძლიერებას, (განსაკუთრებით, გენდერული თანასწორობის და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და თვითმმართველობებში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოების ასევე, სახალხო დამცველის აპარატის) და პრობლემის მოგვარების მიზნით მათ სხვადასხვა უწყებებთან კოორდინირებულ მუშაობას.[5]

პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის და მასზე რეაგირების მექანიზმების გაუმჯობესებაში, კვლევის მონაწილეები არასამთავრობო ორგანიზაციების დიდ როლს ხედავენ. ამიტომ, რეკომენდებულია სამოქალაქო საზოგადოებამ გააგრძელოს **ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხარდაჭერა და გაძლიერება, ხმამაღლა ისაუბროს ამ პრობლემაზე და აამაღლოს არა მხოლოდ ქალების, არამედ კაცების ცნობიერებაც** ამ კუთხით.[6]

შენიშვნები

[1] აქ და სხვა დიაგრამებში პასუხების პროცენტები შესაძლოა არემატებოდეს 100-ს მრავალპასუხიანი კითხვის გამო.

[2] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალდობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ დუბრავკა შიმონოვიჩი, ანგარიში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ (გაერო, 2018), პარაგრაფი 82, ხელმისაწვდომია: https://digitallibrary.un.org/record/1640483.

[3] იქვე, პარაგრაფი 85.

[4] იქვე, პარაგრაფი 83.კ.

[5] იქვე, პარაგრაფი 83.ე.

[6] იქვე, პარაგრაფი 89.